ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის
სხდომის ოქმი №2

ქ. ლანჩხუთი **24.02.2020 წელი**
12.00 საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე – **ვერიკო კვირკველია.**

სხდომას ესწრებოდნენ: კახა ბოლქვაძე, გოდერძი ქურიძე.

სხდომის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვირკველიამ,** სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. **ცისანა ურუშაძის, დავით ჩხარტიშვილის** და **გოდერძი ქურიძის** განცხადების განხილვა ფრაქციის შექმნის თაობაზე.

/მომხსენებელი: **ვერიკო კვირკველია/**

2. სხვადასხვა საკითხები.

კომისიის თავმჯდომარემ **ვერიკო კვირკველიამ** კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -3

წინააღმდეგი -0

დამტკიცდა დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტი

1.დღის წესრიგის პირველი საკითხი- ცისანა ურუშაძის, დავით ჩხარტიშვილის და **გოდერძი ქურიძის** განცხადების განხილვა ფრაქციის შექმნის თაობაზე, კომისიის წევრებს გააცნო კომისიის თავმჯდომარემ **ვერიკო კვირკველიამ** და განმარტა, რომ საქართველოს ორგანული

კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ერთი და იმავე პოლიტიკური პარტიის წევრებს უფლება აქვთ, გაერთიანდნენ მხოლოდ ერთსა და იმავე ფრაქციაში (ასეთი ფრაქცია შეიძლება შექმნას ორი ან მეტი პარტიის წევრებმაც). საარჩევნო ბლოკის წარდგენით არჩეულ უპარტიო მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს უფლება აქვს, გაერთიანდეს მხოლოდ ამ საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული პარტიების მიერ შექმნილ ერთ-ერთ ფრაქციაში. არჩევნებში მოხაწილე პარტიის წარდგენით არჩეულ უპარტიო მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს უფლება აქვს, გაერთიანდეს ფრაქციაში მხოლოდ ამ პარტიის წევრებთან ერთად, ასევე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის დადგენილება №15 41-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, საკრებლოს წევრს, რომელიც არჩეულია პარტიული სიით ან საარჩევნო ბლოკის სიით, უფლება არა აქვს შევიდეს რომელიმე ამ ფრაქციაში, რომელიც შექმნილი არ არის ამ პარტიის ან ბლოკში შემავალი პარტიების მიერ. ასეთივე აკრძალვა ვრცელდება საკრებულოს იმ წევრზე, რომელიც კანდიდატად წარდგენის მომენტისათვის არ იყო რომელიმე პარტიის წევრი, მაგრამ არჩეული იქნა პარტიის (ბლოკის) პარტიული სიით ან მაჟორიტარული წესით, მაგრამ საარჩევნო სუბიექტების წარდგენის მეშვეობით. საკრებულოს წევრები, რომლებმაც განცხადებით მიმართეს საკრებულოს, გაწევრიანებული არიან მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებაში „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო", ამასთან ისინი იყვნენ საკრებულოში არსებული ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" წევრები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი განცხადება ფრაქციის შექმნის თაობაზე ვერ აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -3

წინააღმდეგი -0

იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით საკრებულოში მოგვიანებით დაფუძნებული ფრაქცია „მაჟორიტარები" ვერ აკმაყოფილებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" და „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებას მოთხოვნებს.

2. სხვადასხვა საკითხები:

ყინაიდან სხვა საკითხები კომისიის წევრების მიერ არ დასმულა, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის

კომისიის თავმჯდომარე: ვერიკო კვირკველია

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია

დასკვნა №2/2020

ლანჩხუთი

24.02.2020 წელი

ვასანა ურუშაძის, დავით ჩხარტიშვილის და გოდერძი ჭერიძის ფრაქციის შექმნის თაობაზე განცხადების განხილვა.

იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ დაასკვნა:

საკრებულოში მოგვიანებით დაფუძნებული ფრაქცია „მაჟორიტარები" ვერ აკმაყოფილებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" და „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილების მოთხოვნებს.

იურიდიულ საკითხთა და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე:

ვერიკო კვირკველია

ლაწჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

24.02.2020 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ვერიკო კვირკველია	12.00	
2	კახა ბოლქვაძე	12:00	
3	გოდერძი ქურიძე	12:00	
4	კახაბერ ასკურავა		